



2359/3-2/22 2 16032022

2359/3-2/22

16-03-2022

საქართველოს გენერალურ პროკურორს

ბატონ ირაკლი შოთაძეს

ბატონო ირაკლი,

მოგესხენებათ საქართველომ მიმდინარე წლის 3 მარტს წარადგინა ევროკავშირის წევრობის განაცხადი, რომლის განხილვის პროცედურები დაიწყო ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მეთაურთა სამიტზე 7 მარტს მიღებული გადაწყვეტილებით.

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით საქართველოს ნაკისრი აქვს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური ინსპექტირების სისტემის რეფორმის გატარების ვალდებულება.

2018 წელს, გაცხადებული რეფორმის დასაწყისშივე საჯარო გახდა რომ საგამოძიებო უწყებაში კითხვები გაჩნდა კორუფციული კანონდარღვევის არსებობის თვალსაზრისით, აღიძრა საქმე #010120318801, სსკ 182.2.დ. და 332.1. მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულზე და კორუფციულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველოს მიერ ჩატარდა საგამოძიებო მოქმედებები, რომელთა შორის არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან დოკუმენტაციის ამოღება (იხ.: დანართი).

საკითხის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად გთხოვთ პერსონალურად თქვენი ხელმოწერილი წერილობითი პასუხით გვაცნობოთ არაიდენტიფიცირებადი ინფორმაცია:

1) წარედგინა თუ არა ბრალი და დაიწყო თუ არა ვინმეს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა - სახელის, გვარის და სხვა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე. საკმარისია ფორმულირება წარედგინა ან არ წარედგინა, დაიწყო ან არ დაიწყო.

2) რა ეტაპზეა მიმდინარე გამოძიება, რა სირთულეების წინაშე არის იგი და შესაძლებელი იქნება თუ არა მიმდინარე წლის ბოლომდე პირველადი შედეგების წარმოდგენა.


აქვე შეგახსენებთ პარლამენტის რეგლამენტით დადგენილ სავალდებულო მოთხოვნებს, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად პარლამენტის წევრის "კითხვაზე დროული და სრული პასუხის

გაცემა სავალდებულოა", ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად კი პარლამენტის წევრის "კითხვაზე პასუხს ხელს აწერს *მხოლოდ* ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი *დაწესებულების ხელმძღვანელი* ", განსახილველ შემთხვევაში - პასუხს ხელს აწერს მხოლოდ საქართველოს გენერალური პროკურორი.

დანართის სახით წარმოგიდგენთ მასალების ამოღების დოკუმენტებს 14 გვერდად.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თეონა აქუბარდია





საქართველოს პროკურატურა
საქართველოს გენერალური პროკურატურა
Prosecution Service of Georgia
Office of the Prosecutor General of Georgia



0114 ქ.თბილისი, გორგასლის ქუჩა №24 ტელ: 2 405 344; 2 405 345
ელ.ფოსტა: kancelaria@pog.gov.ge; www.pog.gov.ge

KARR1386347632722

№13/20160

05 / აპრილი / 2022 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ თეონა აქუბარდიას

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2022 წლის 16 მარტის N2359/3-2/22 წერილის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რაც დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლისსამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან.

ამასთან, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 172-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პროკურატურის მიერ წინა წელს გაწეული საქმიანობის შესახებ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ანგარიში არ შეიცავს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან, სასამართლო განხილვასთან ან/და საქმის ცალკეულ გარემოებებთან დაკავშირებულ საკითხებს, ხოლო პარლამენტის, მისი კომიტეტის ან კომისიის სხდომაზე მოწვეულ საქართველოს გენერალურ პროკურორს, მის პირველ მოადგილეს ან მოადგილეს არ შეიძლება დაუსვან კითხვა კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან, სასამართლო განხილვასთან ან/და საქმის ცალკეულ გარემოებებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოკლებულნი ვართ თქვენი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

პატივისცემით,

საერთაშორისო ურთიერთობებისა და
სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერა/
შტამპი/ფაქსი
ელ.ფოსტა



ირაკლი ჩილინგარაშვილი